




International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/GAKQ6884>



Modern Approaches to Entrepreneurship Development and Prospective Challenges

Genad Shavadze¹

PhD student, Caucasus International University

ABSTRACT

Entrepreneurship is one of the essential and priority directions in today's world, especially in market economy conditions. The agricultural industry is the most essential element in the development of the economy; it also has a special mission and role of providing food for society. The agricultural sector, especially small and medium enterprises, has a special role and importance in the country's economy. It creates new opportunities, resources, and wealth, increases jobs, improves the economy, develops the capital market, and makes a special contribution to the economic well-being of society and the sustainable development of the economy. Therefore, entrepreneurship development can be considered a stimulating lever of the economy.

Modern approaches to entrepreneurship and practical challenges are classified in many directions. However, I would single out technological, automated, and artificial intelligence, which in modern conditions can be compared to a new revolution, which has already had its economic and business effect on the development of the entrepreneurship sector. With its potential, entrepreneurship greatly contributes to the development of the country's inclusive economy, which can be considered the cornerstone of any country's success. The development of the entrepreneurship sector particularly contributes to the volume of production growth, export, creation of international industry culture, innovation, integration with globalization and plays an important role in the growth of the social and economic level of the country.

Business entities operating in the conditions of modern development and beginning small- and medium-level entrepreneurs talk about the issues of maintaining a business that has never been as difficult as they are today. Disruptions caused by technology, a saturated market, and companies of multinational origin always trying to swallow any expected sign of new competition, giving new entrepreneurs no opportunity to start and develop. There are many modern challenges of entrepreneurship, but I will highlight the most important ones. These are insufficient capital, attracting financial resources for

¹ genad.shavadze@ciu.edu.ge

development, effective time management, market research, ineffective marketing, lack of qualified staff, team, customer loyalty, defensive mechanisms, lack of financial management, and impact of globalization. Today, the agrarian sector is relevant, and many economists, scientists, and publicists investigate the modern practical challenges of this issue. Therefore, we think it will be very interesting to have a theoretical-methodological and synthetic discussion in the face of the modern challenges of entrepreneurship.

Statistics from many countries show an alarming rate of SME enterprise failure. For example, about two-thirds of new businesses in the United States do not survive five to ten years. In Australia, 96.8 percent of small businesses either go out of business or grow very little within the first five years of starting. Entrepreneurship development is increasingly becoming a major concern globally.

The paper will discuss the essence and importance of entrepreneurship, its forms and types, modern approaches to its development, challenges, and overcoming perspectives. We will also discuss the current state of the Georgian entrepreneurship sector and offer recommendations that can be adapted to the best-developed countries in the world, which will help the entrepreneurship sector define conceptual aspects.

Keywords: *Inclusive development, Capital market, Artificial intelligence, International entrepreneurial culture, Innovations, Globalization.*

მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები და პერსპექტიული გამოწვევები

გენად შავაძე

დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

მეწარმეობა დღევანდელ თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა ეკონომიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, მას ასევე აკისრია განსაკუთრებული მისია და როლი, რომელიც საზოგადოების საკვებით გამოკვებას უზრუნველყოფს. სასოფლო-სამეურნეო სექტორს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობას, ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული როლი და ნიშნელობა აქვს. ის ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რესურსებს, დოვლათს, ზრდის სამუშაო ადგილებს, აჯანსაღებს ეკონომიკას, ვითარდება კაპიტალის ბაზარი და შეაქვს განსაკუთრებული წვლილი, როგორც საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაში, ასევე ეკონომიკის მდგრად განვითარებაში. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მეწარმეობის განვითარება ეკონომიკის მასტიმულირებელ ბერკეტად.

მეწარმეობის თანამედროვე მიდგომები და პრაქტიკული გამოწვევები ბევრი მიმართულებით კლასიფიცირდება, თუმცა ამათგან გამოვყოფდი ტექნოლოგიურ, ავტომატიზირებულ და ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც თანამედროვე პირობებში ახალ რევოლუციას შეიძლება შევადაროთ, რამაც უკვე მოახდინა თავისი ეკონომიკური და ბიზნეს ეფექტი მეწარმეობის დარგის განვითარებაზე. მეწარმეობას თავისი პოტენციალით დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებაში, რომელიც შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის წრმატების ქვაკუთხედად მივიჩნიოთ. მეწარმეობის განვითარება განსაკუთრებულად ხელს უწყობს წარმოების ზრდის მოცულობას, ექსპორტს, საერთაშორისო მრეწველობის კულტურის შექმნას, ინოვაციებს, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური დონის ზრდაში.

თანამედროვე განვითარების პირობებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტები და დამწყები მცირე და საშუალო დონის მეწარმეები საუბრობენ იმ საკითხებზე, რომ აქამდე არასდროს ყოფილა ბიზნესის შენარჩუნება ისეთი რთული, როგორც დღეს. ტექნოლოგიით გამოწვეული შეფერხებები, გაჯერებული ბაზარი, მრავალეროვნული კომპანიები, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ ახალი კონკურენტების გამოჩენისთანავე განადგურებას ან შთანთქმას. ეს კი ხელს უშლის ახალი საწარმოების გაჩენას და მაღალი კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებას და განვითარებას. თანამედროვე გამოწვევები ძალიან ბევრია, თუმცა გამოვყოფდი ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს. ესენია: არასაკმარისი კაპიტალი,

ფინანსური რესურსების მოზიდვა განვითარებისთვის, დროის ეფექტური მენეჯმენტი, ბაზრის კვლევა, არაეფექტური მარკეტინგი, კვალიფიციური კადრების სიმცირე, გუნდი, მომხმარებელთა ლოიალურობა, თავდაცვითი მექანიზმები, ფინანსური მენეჯმენტის არარსებობა, გლობალიზაციის გავლენა. დღესდღეობით აგრარული სექტორი აქტუალურია და ბევრი ეკონომისტი, მეცნიერი და პუბლიცისტი იკვლევს ამ საკითხის თანამედროვე პრაქტიკულ გამოწვევებს, შესაბამისად ვფიქრობთ ძალიან საინტერესო იქნება თეორიულ-მეთოდოლოგიური და სინთეზური განხილვა მეწარმეობის თანამედროვე გამოწვევების პირისპირ.

ბევრი ქვეყნის სტატისტიკა აჩვენებს მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოს წარუმატებლობის საგანგაშო რაოდენობას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, ახალი საწარმოების დაახლოებით ორი მესამედი არ ცოცხლობს ხუთიდან ათ წლამდე. ავსტრალიაში, მცირე ბიზნესის 96,8 პროცენტი გახსნიდან მალევე წყვეტს ფუნქციონირებას ან ძალიან ცოტა იზრდება დაწყებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში და სხვა. მეწარმეობის განვითარება სულ უფრო მეტად ხდება მთავარი საზრუნავი გლობალურად. ნაშრომში განხილული იქნება მეწარმეობის არსი და მნიშვნელობა, მისი ფორმები და სახეები, ასევე განხილული იქნება მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები, გამოწვევები და დაძლევის პერსპექტივები. განვიხილავთ საქართველოს მეწარმეობის დღევანდელ მდგომარეობას, და შემოთავაზებული იქნება საერთაშორისო საუკეთესო განვითარებული ქვეყნების მსგავსად ადაპტირებადი რეკომენდაციები, რომელიც შემდეგში დაეხმარება მეწარმეობას კონცეპტუალური ასპექტების განსაზღვრაში.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განვითარება, კაპიტალის ბაზარი, ხელოვნური ინტელექტი, საერთაშორისო სამეწარმეო კულტურა, ინოვაციები, გლობალიზაცია.

1. შესავალი

მეწარმეობის დარგის განვითარება მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს ყველა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში. ის ხელს უწყობს უკვე არსებულ მეწარმეებს თუ ახალად დამწყებ მეწარმეებს მხარი დაუჭიროს პერსპექტიულ საჭიროებებს, შექმნან და განავითარონ ინოვაციური პროდუქტები და სერვისები, რომელიც შექმნის ახალ შესაძლებლობებს. მეწარმეობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა ბოლო პერიოდებში. მცირე, საშუალო და მსხვილი მეწარმეობა ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული იარაღია, რომელმაც უნდა შექმნას კონკურენტუნარიანი ლანდშაფტი. საქართველოს ხელისუფლება ბოლო 10 წლის

განმავლობაში აგრარული სექტორს განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოუცხადა, განახორციელა ბევრი პროექტი, რათა მოხდეს მეწარმეობის აღორძინება და ახალი შესაძლებლობების შექმნა. საქართველოში მეწარმეობა სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად, საქართველოში ახლად შექმნილი სტარტაპი გათავისუფლებულია გადასახადებისგან ან ძალიან დაბალი შეღავათიანი პირობებით სარგებლობს. მეწარმეობის განვითარებით ინდუსტრიებს შეუძლიათ მოერგონ მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნებს, რაც პირდაპირპროპორციულად გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის გაზრდას და მომხარებელთა ქცევის განვითარებას.

ეკონომიკის მდგრადობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს განსაზღვრავს კაპიტალის ბაზრის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. დღეს განვითარებულ ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის ინდექსი მაღალია, თუმცა მეწარმეობის განვითარება ინოვაციებთან და ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული, ამასთანავე გლობალური პოლიტიკა შეცვალა COVID-19-მა, რუსეთ-უკრაინის ომმა, ისრაელ-ღაზას სექტორის ომმა, რამაც მთელი მსოფლიო დააფიქრა მიმდინარე პროცესებმა. აღნიშნულმა ფაქტორებმა დააყენა ქვეყნები დილემის წინაშე შეეცვალათ სტრატეგიული პოლიტიკა საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა შიდა რესურსების, ბაზრების, დარგების და შესაძლებლობების გაძლიერება. რადგან, დღეს მსოფლიო გამოწვევების წინაშეა, არსებულმა ვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტებზე ჭარბი მოთხოვნები, წარმოებების შემცირება, საკვების დეფიციტი, უმუშევრობა და შიმშილი. საერთაშორისო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომიკის ეფექტური ნორმალური განვითარების ძირითად ელემენტებად აღიარებულია მცირე, საშუალო და მსხვილი წარმოების ბიზნეს სექტორთა საუკეთესო თანაფარდობა. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მცირე ზომის საწარმოები მისი ელასტიურობიდან და უპირატესობებიდან გამომდინარე უფრო მოქნილები არიან, ისინი მოკლე დროში ადაპტირდებიან და ეფექტურად რეაგირებენ ეკონომიკაში მიმდინარე აღმავალ თუ დაღმავალ პროცესებზე. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები დიდი მხარდაჭერას უცხადებენ მცირე ბიზნესის განვითარებას, ასევე საქართველოს ხელისუფლებაც გამოთქვამს დიდი მზაობას და მხარდაჭერას მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. რადგან მცირე ბიზნესის საშუალებით ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კაპიტალის ბაზრის გაჯანსაღება, ნოუჰაუ, კონკურენციის განვითარება, პროდუქტების და მომსახურების ბაზრის განვითარება, ახალი ბაზრების გაჩენა, ახალი შესაძლებლობები, მეწარმეობის კულტურის განვითარება, ეკონომიკური დოვლათის შექმნა. მცირე და საშუალო მეწარმეობის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაჯერებას და განვითარებას. ის ასევე ხელს შეუწყობს ეფექტურად დანერგოს სისტემური, ტექნოლოგიური და კომერციული ინოვაციური იდეები.

2. მეწარმეობის არსი და მნიშვნელობა

მეწარმეობა - პირველად გამოიყენა ფრანგმა მკვლევარმა და ეკონომისტმა რ. კანტილიონმა XVIII საუკუნეში ნაშრომში „გამოცდილება ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ“. იგი მეწარმეობას სიმებით აკავშირებდა და აიგივებდა ვაჭრობასთან. ის მიიჩნევს, რომ მეწარმეობა არის სუბიექტი, რომელსაც არ აშინებს თანმდევი რისკები, სიახლე, მას აქვს პერსპექტივის მაღალი მოლოდინები და მზად არის სანაცვლოდ ჰქონდეს დანაკარგები. ასეთ ადამიანებს ზოგადად მაღალი რისკის მოყვარულ კატეგორიას აკუთვნებენ, რომლებსაც შეიძლება ითქვას ხშირად უმართლებთ, ასევე აქვე უნდა ავლნიშნოთ ცნობილი გამოთქმა „ვინც რისკავს, ის სვამს შამპანურს“, შესაბამისად მეწარმეობა არის ახალი იდეების, აზრების და ინოვაციების საწყისი, რომელსაც სჭირდება მეტი სითამამე და გამბედაობა. ამისთვის საჭიროა იყოს სწორი სტრატეგიული ხედვები, მიზნები, ბიზნეს გეგმა და განხორციელების ეტაპები. მეწარმეობის არსი და მნიშვნელობა მრავალპროფილურია შესაბამისად მნიშვნელოვანია არსებობდეს რელევანტური და ადეკვატური ინოვაციური ხედვები, რომელიც მოახდენს გავლენას საზოგადოების მოთხოვნილებაზე, გააჩენს მოხმარების საჭირებას და სურვილს ან ეფექტურს გახდის მომსახურების სფეროს.

ამრიგად, მეწარმეობა ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ეფუძნება ახალ შესაძლებლობებს, ახალ პროდუქტებს და სერვისებს, რომელიც იქნება ინოვაციური, გამორჩეული და სიახლე. მისი შინაარსი და მახასიათებლები წარმოადგენს მის პიროვნულ მნიშვნელობას, რომელიც შემდეგ პიროვნული ბრენდინგის სახით გვხვდება.

მეწარმეობა ქმნის ღირებულებას მომხმარებლებისთვის და აძლიერებს ეკონომიკურ ზრდას. ეს არის ინოვაციების მნიშვნელოვანი ძრავა და ხშირად არის ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების შემუშავების წინა პერიოდი, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება დიდ ბრენდებად და კორპორაციებად.

მეწარმეობის მრავალი განსხვავებული ტიპი არსებობს, თითოეულს აქვს თავისი უნიკალური მახასიათებლები და გამოწვევები.

წარმოგიდგინთ ყველაზე გავრცელებულ თანამედროვე მეწარმეობის ტიპებს:

- **სერიული მეწარმეობა** - ეს ეხება მეწარმეს, რომელიც იწყებს მრავალ ბიზნესს თავისი კარიერის განმავლობაში.
- **კორპორატიული მეწარმეობა** - ამ ტიპის მეწარმეობა გულისხმობს ახალი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნას არსებულ კომპანიაში.

- **ადგილობრივი მეწარმეობა** - ამ ტიპის მეწარმეობა ორიენტირებულია ბიზნესის შექმნაზე, რომელიც აკმაყოფილებს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს.
- **სოლოპრენერი** - სოლოპრენერი არის ადამიანი, რომელიც იწყებს და მართავს ბიზნესს დამოუკიდებლად, თანამშრომლების დახმარების გარეშე.
- **მიკრო მეწარმე** - ეს ეხება მეწარმეებს, რომლებიც იწყებენ ძალიან მცირე ბიზნესს კაპიტალის დაბალი მოთხოვნებით, ხშირად განვითარებად ქვეყნებში.
- **მეწარმეობა და ინტერმეწარმეობა** - მეწარმეობა გულისხმობს საკუთარი ბიზნესის დაწყებას, ხოლო ინტერმეწარმეობა გულისხმობს ახალი პროდუქტების ან სერვისების განვითარებას არსებულ კომპანიაში.
- **ტექნოლოგიების მეწარმეები** - ამ ტიპის მეწარმეობა გულისხმობს ბიზნესის დაწყებას, რომელიც ორიენტირებულია ახალი ტექნოლოგიების განვითარებაზე.
- **ციფრული მეწარმეები** - ამ ტიპის მეწარმეობა ორიენტირებულია ციფრულ სფეროში ბიზნესის დაწყებასა და განვითარებაზე.

3. მცირე და საშუალო მეწარმეობა

საქართველოში პროდუქციის გამოშვებისა და დამატებული ღირებულების შექმნაში მცირე და საშუალო მეწარმეობას სავაჭრო ბრუნვაში დიდი ადგილი უჭირავს. მაგალითად, აშშ-ში, ახალი სამუშაო ადგილების 2/3 მცირე და საშუალო საწარმოებში იქმნება (USTR, 2021). მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ ევროკავშირის „არაფინანსური ბიზნეს ეკონომიკის“ ყველა საწარმოს 99.8%-ს და ასაქმებენ მთლიანად მომუშავეთა 65.2%-ს (European Commission, 2021a). საქართველოში, საწარმოთა 99.7% სწორედ მცირე და საშუალო ზომისაა, სადაც დასაქმებულია მთლიანად დასაქმებულთა 63% და იქმნება მთლიანი სამეწარმეო სექტორის მიერ გამომუშავებული დამატებული ღირებულების 61% (საქსტატი, 2021ა) (მაღლაკელიძე, 2022, გვ. 12).

მეწარმეობა გახდა სასიცოცხლო ციკლის უმნიშვნელოვანესი ფასეულობა, რომელიც განაპირობებს ინოვაციას, სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ ზრდას. შედეგად, გაიზარდა ინტერესი სამეწარმეო განათლების, ტრენინგის და ქოუჩინგის პროგრამების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს მეწარმეები აღჭურვოს საჭირო უნარებითა და ცოდნით. მეწარმეობის ახალი ტენდენციები, ფოკუსირებულია სამეწარმეო უნარების განვითარებაზე და სამეწარმეო განათლების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას.

“ავსტრიელი ეკონომისტი და სოციოლოგი იოზეფ შუმპეტერი თვლიდა, რომ მეწარმეობის განვითარებას განაპირობებს მეწარმეობის ახალი თანამედროვე მიდგომები, კონცეფციები და ტენდენციები. ამ თვალსაზრისით, იგი გამოყოფს კომბინაციის 5 სახეობას:

1. **ახლის წარმოება** - რომელიც გულისხმობს, მომხმარებლისთვის შეთავაზებულ სანდო პროდუქტს ან ახალ (გაუმჯობესებულ) ხარისხს პროდუქტისთვის;

2. **წარმოების ახალი მეთოდების დანერგვა** - რომელიც ჯერ პრაქტიკაში არავის გამოუყენებია;

3. **გასაღების ახალი ბაზრების დაკავება**

4. **ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდების ახალი წყაროების ათვისება;**

5. **რეორგანიზაციის ჩატარება** - რაც გააძლიერებს და დომინანტურს გახდის საწარმოს პოზიციებს, მაგალითად, ნდობის ამაღლების გზით” (მაღლაკელიძე, 2022, გვ. 22).


სამეწარმეო საქმიანობა: 2006-2014 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3.4-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 50 მლრდ. ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ბიზნეს სექტორის გამოშვება 3.5-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 26 მლრდ. ლარს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 361 000-დან 592 147-მდე. 2014 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე (23.5%), მრეწველობაზე (19.6%), მშენებლობაზე (11.4%), უძრავ ქონებაზე (10.0%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.0%) და ჯანდაცვაზე (9.8%). საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ამ პერიოდში 286 ლარიდან 801 ლარამდე გაიზარდა. 2006-2014 წლებში ბიზნეს სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 3,5 მლრდ. ლარიდან 12,8 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 2,1 მლრდ. ლარიდან 3,6 მლრდ ლარამდე. 2014 წელს, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე (50.5%), მრეწველობაზე (18.0%) და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.3%), ხოლო გამოშვების - მრეწველობაზე (31.5%), ვაჭრობაზე (17.1%), მშენებლობასა (15.7%) და ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე (13.8%) (საქართველოს მთავრობა, 2016).

2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015): სტრატეგია განსაზღვრავს აგრობიზნესში მოქმედი მეწარმე-სუბიექტების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერას, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებას. სტრატეგია ასევე მოიცავს აგრობიზნესში მოქმედი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, DCFTA²-ის მოთხოვნებთან

² DCFTA - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

ადაპტაციის მხარდაჭერის, სპეციფიკური ტრეინინგების, ექსპორტის მხარდაჭერის და სხვა გზებით (საქართველოს მთავრობა, 2016).

საქართველოში, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება, როგორც ძირითადი საშუალება „ინკლუზიური ზრდის“ და „დასაქმების“ მიზნების მისაღწევად. ევროკავშირში მოქმედი დაახლოებით 26 მილიონი მცირე და საშუალო საწარმო 109 მილიონი ადამიანისთვის უზრუნველყოფს დასაქმებას და ევროპის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3-ს ქმნის. (eurostat, 2019)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (საქსტატი, 2022)

მილიანი (%)	შიდა			პროდუქტის							სტრუქტურა		
	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022*
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	9.6	10.3	9.2	9.6	9.6	8.8	8.3	7.2	7.8	7.4	8.3	7.4	7.0
მრეწველობა	14.9	15.0	14.1	14.2	14.3	13.9	13.0	14.2	14.6	14.7	15.5	17.0	16.6
მშენებლობა	4.2	5.2	7.4	6.6	6.8	7.6	8.8	9.1	8.3	8.5	8.7	7.5	8.0
ვაჭრობა	17.5	18.1	16.4	14.8	14.6	13.7	13.9	14.0	13.9	14.3	14.8	15.4	15.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	7.1	7.0	6.8	6.4	6.2	6.1	5.7	6.4	6.3	6.6	6.1	6.3	6.5
სხვა	46.7	44.4	46.1	48.5	48.5	49.9	50.3	49.1	49.0	48.5	46.6	46.4	46.7

სოფლის (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)	მეურნეობის			პროდუქტის							გამოშვება		
	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022*
სოფლის მეურნეობის პროდუქტის გამოშვება, სულ	2 669.8	3 277.8	3	3	3	3	3	3	4	4	5	6	6 747.1
მემცენარეობა	1 052.2	1 476.3	1	1	1	1	1	1	2	2	2	2	3 004.3
მეცხოველეობა	1 528.7	1 673.1	1	1	1	1	2	2	2	2	2	2	3 281.8
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	89.0	128.5	143.5	183.3	214.0	260.5	290.1	252.2	287.1	263.9	329.2	403.3	461.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (საქსტატი, 2022)

რაც შეეხება 2020 წლის ეკონომიკურ პარამეტრებს, გლობალური პანდემიისა და შემოდებული შეზღუდვების შედეგად, წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს, საქართველოს მშპ შემცირდა 6.2%-ით. გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებით, ექსპორტი შემცირდა 12%-ით (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით), ხოლო იმპორტი - 15.6%-ით. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ექსპორტის შემცირება რე-ექსპორტის კლებით იყო განპირობებული, ადგილობრივი ექსპორტი კი 3.5%-ით გაიზარდა და კორონა ვირუსთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 2,406.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020).

4. პანდემია და მეწარმეობა

COVID-19 იყო ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ბოლო პერიოდში, რაც კაცობრიობამ გამოიარა და მისი ნაკვალევი აქვს დაღად საქართველოს და მთელ მსოფლიოს ყველა დარგში და სექტორში. 3 წლის შემდეგაც ვერ გამოვიდა მსოფლიო პანდემიის შედეგად მიღებული სტრესიდან და ეკონომიკური სიდუხჭირიდან. დღესაც ცდილობს მსოფლიო ეკონომიკა დაუბრუნდეს პანდემიამდე არსებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ნიშნულებს, თუმცა ჯერ შედეგი ვერ იქნა მიღწეული და კვლავ წლებია საჭირო ძველ მაჩვენებლებზე დასაბრუნებლად. მეწარმეობის როლი და განვითარების პერეპექტივები პანდემიის პერიოდში ცალსახად გამოიკვეთა პრიორიტეტებს შორის, რადგან აგრარული სექტორი, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ყურადსაღებია და მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეძლოს თავისი მოსახლეობის უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით და თავიდან აიცილოს შიმშილობა და ნეგატიური შედეგები.

აღნიშნული გამოცდილება გვამღევეს ანალიზის საშუალებას, რომ პანდემიები და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები ცხოვრების თანამგზავრია, შესაბამისად სახელმწიფოს პოლიტიკა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მეწარმეობის სწორად დაგეგმვაში და მის განვითარებაში. მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები დღეს ხელოვნების დონეზეა აყვანილი, ამიტომ ის საჭიროებს მეტ სიღრმისეულ შესწავლას, კვლევებს, მეწარმეებთან შეხვედრებს, რისკების განსაზღვრას, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას და სხვა, რომელიც უზრუნველყოფს სექტორის გაძლიერებას და განვითარებას.

ევროკავშირის, UNDP³-ის კვლევა ეყრდნობა 700-ზე მეტ რესპონდენტთან ჩატარებულ ინტერვიუებს, რომლებშიც აისახა კომპანიების მზაობა კრიზისის მიმართ, პანდემიის შედეგად მიღებული ზარალი და სამომავლო პერსპექტივები.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ შესაფუთი მასალების მიწოდების ჯაჭვის კომპანიების ნახევარზე მეტმა პანდემიის შედეგად შემოსავლების 50 პროცენტი დაკარგა, ხოლო კომპანიების 83 პროცენტი თვლის, რომ პანდემია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მათი ბიზნესისთვის. 88 პროცენტს არ აქვს ბიზნესის შეფერხების დაზღვევა. 58 პროცენტს არ გააჩნია საკუთარი ან ალტერნატიული ფინანსური სახსრები კრიზისიდან გამოსასვლელად. კომპანიების მხოლოდ ნახევარმა (54.4 პროცენტმა) შეძლო ყველა თანამშრომლის შენარჩუნება პანდემიის დროს. კომპანიების 16.7 პროცენტმა თანამშრომლებს სთხოვა შვებულებაში გასვლა ანაზღაურების გარეშე, ხოლო 17.2 პროცენტმა დროებით შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა (UNDP) კვლევა, 2020).

³ UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

5. სამეწარმეო გარემო მსოფლიო რეიტინგებში

2014 წლიდან სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა მეწარმეობის ხელშეწყობისთვის და განვითარებისთვის. განხორციელებული რეფორმები და შედეგები დადებითად ფასდება ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ. რეფორმების წარმატებულმა და ეფექტურმა განხორციელებამ განაპირობა სხვადასხვა ავტორიტეტულ მსოფლიო რეიტინგებში დაწინაურება, რასაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი ინვესტიციების, პარტნიორების, შესაძლებლობების და რესურსების მისაღებად.

„სამეწარმეო გარემოს შეფასება საერთაშორისო რეიტინგებში:

- მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგი, სადაც 2020 წელს საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-7 პოზიციას იკავებს;
- Heritage Foundation-ის 2020 წლის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ რეიტინგში საქართველო „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით მე-12 ადგილს იკავებს;
- Fraser Institute-ის 2020 წლის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში, საქართველო მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის მე-8 პოზიციას იკავებს;
- მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 214 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს, რეიტინგში საქართველო 49 პოზიციას იკავებს;
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ (GCI) აფასებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს - (წინა 2016 წლის რეიტინგთან შედარებით) რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაუმჯობესდა, ხოლო 12-დან 9 კომპონენტში ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის; „ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020, გვ. 19,20,21).

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%- ს უტოლდება, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური, ასევე, სოციალური თვალსაზრისით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020, გვ. 22).

6. საქართველოში მეწარმეობის მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები

საქართველოში მეწარმეობის მხარდამჭერი ასოციაციები არცისე ბერვია, შესაბამისად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ამ სექტორის განვითარებისთვის, სამეწარმეო ბიზნესისთვის განსაკუთრებულად ეფექტური საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, პროფესიული განათლების დონის ამაღლება, ფორუმების დაგეგმვა, მეწარმეების შეხვედრა, კონფერენციების დაგეგმვა და სხვა, რომელიც დაეხმარება სექტორს ინფორმირებაში თანამედროვე პერსპექტივებთან დაკავშირებით. აღნიშნული ასოციაციები დაეხმარება მეწარმეებს ახალი იდეების, გაერთიანებების, პარტნიორების შეძენაში, ურთიერთშემცვლელი და ჩამნაცვლებელი პროდუქტების და რესურსების გაცვლაში, რაც გააჯანსაღებს ბიზნეს პროცესებს და კონკურენტუნარიანს გახდის ბაზარს.

„საქართველოში არის მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები:

- სავაჭრო-სამრეწველო პალატა დაფუძნებულია საჯარო სამართლის კორპორაციის სახით და სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა და კონსალტინგი;
- დამსაქმებელთა ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 2000-მდე წევრს, რომელთა 65% მცირე და საშუალო ბიზნესია; „ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020, გვ. 31).

7. ესტონეთის პრაქტიკული მიდგომები

ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრომ ფინანსურად დაუჭირა მხარი „სამოქალაქო ინიციატივა და მეწარმეობის“ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებას დაბალ საშუალო განათლების საფეხურზე, ასევე ვორქშოფებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, რომლებიც ორგანიზებული იყო სოციალურ მასწავლებელთა ასოციაციის მიერ. სავაჭრო პალატა წელიწადში ორჯერ აწყობს სამეწარმეო ანალიტიკურ შეხვედრებს სკოლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის მხარდასაჭერად. ქსელური ინიციატივა „ოცნებები რეალობად იქცევა“ მოიცავდა ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამეწარმეო აზროვნების ხელშეწყობას და მხარს უჭერენ სკოლის სხვადასხვა დონის აქტივობებს. JA Estonia-მ მოაწყო დაწყებითი და საშუალო განათლების მასწავლებელთა ქსელი. ისინი წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, რათა განიხილონ პრობლემები და გააუმჯობესონ თავიანთი უნარები და ცოდნა. გარდა ამისა, ეკონომიკის

მასწავლებელთა ასოციაცია, რომელიც მოიცავს ძირითადად უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებს, ისევე როგორც ზოგიერთ მასწავლებელს, მჭიდროდ თანამშრომლობს JA Estonia-სთან სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (competence, 2023).

ესტონური სტრატეგია მეწარმეობის განვითარების პერსპექტივა იწყება სოციალური კვლევების მასწავლებელთა დაწყებითი განათლების ყველა სასწავლო პროგრამაში.

„პროგრამის ძირითადი აქტივობებია:

- სამეწარმეო განათლების მეთოდოლოგიებისა და სასწავლო ინსტრუმენტების შემუშავება, მათ შორის, მხარდაჭერის საჭიროების შედგენა, მასწავლებელთა მომზადების მეთოდებისა და მოდულების შემუშავება სკოლებში რამდენიმე საგნის მიხედვით;
- სამეწარმეო განათლების მიმწოდებლებისთვის ტრენინგის შესაძლებლობების განვითარება;
- ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა და სკოლების გარეთ პარტნიორებთან გაზრდილი თანამშრომლობა“ (competence, 2023).

ესტონეთი არის ერთ-ერთი გამორჩეული რეფორმატორი ქვეყანა, რომელიც ყოველთვის ინოვაციას და სიახლეების დანერგვას ცდილობს, დღევანდელ პირობებში აქტუალურია მეწარმეობის განვითარება დაბალი საშუალო და მაღალი განათლების სფეროებში, ესტონეთის მთავრობა ცდილობს საწყისებიდანვე გააჩინოს ინტერესი ამ სექტორის მიმართ, ამისთვის კი არსებობს სკოლები, აქტივობები, ვორქშოფები, პროგრამები, პროექტები და სხვა, რომელიც პოპულარიზაციას უწევს მეწარმეობის დარგს. შესაბამისად ძალიან პოზიტიური შედეგები აქვს აღნიშნულ პროგრამებს, რაც კვლევებით დასტურდება. საქართველოს უკვე აქვს გადმოღებული ესტონეთისგან საგადასახადო სისტემა და ვფიქრობთ დღესდღეობით ძალიან ეფექტურია და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანია და თავისუფალია საგადასახადო სისტემა სხვა წამყვან განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონკრეტული პროექტების პირდაპირ დაკოპირება და გადმოტანა არ არის ყოველთვის ეფექტური, საჭიროებს მეტ ინფორმირებას და კვლევებს, თუმცა ზოგადად კონცეპტუალური ხედვებით თუ ვიმსჯელებთ და ესტონეთის პრაქტიკულ მიდგომებს დავაკვირდებით, ვფიქრობ კარგი მაგალითია როგორ მოვახდინოთ საქართველოში აგრარული სექტორის და მეწარმეობის პოპულარიზაცია. როგორ გავაჩინოთ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალ თაობაში ინტერესი, ვისთვისაც დღეს მეწარმეობა არაპოპულარულია. შეგვიძლია გამოვიყენოთ ის მიმართულებები, რომელიც განათლების ყველა ეტაპიდან უნდა დაინერგოს და

აქტუალური გახდეს. ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობაზე მოდის, ასევე საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა და პრიორიტეტი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა.

8. ხელოვნური ინტელექტი მეწარმეობაში - ტექნოლოგიური რევოლუცია

დღევანდელ მსოფლიოში აქტუალურია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და დანერგვა, ის აგრძელებს განვითარებას და შეღწევას სხვადასხვა სექტორში, მისი გავლენა მეწარმეობასა და ინოვაციაზე ინტენსიური მსჯელობის საგანი გახდა.

ბევრს მიაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შეიძლება დათრგუნოს ადამიანის კრეატიულობა და ძირი გამოუთხაროს სამეწარმეო ძალისხმევას, რაც გამოიწვევს მომავალში ახალი იდეების შემცირებას, სადაც მანქანები დომინირებენ ბაზარზე. თუმცა, სხვები ამტკიცებენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააძლიეროს სამეწარმეო კრეატიულობა და გახსნას ახალი გზები ინოვაციისთვის.

“ხელოვნური ინტელექტის უპირატესობები მეწარმეობაში:

გაძლიერებული გადაწყვეტილების მიღება: AI-ზე⁴ მომუშავე ინსტრუმენტები და პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება დაეხმაროს მეწარმეებს დიდი მოცულობის მონაცემების გაანალიზებაში და მისგან ღირებული ინფორმაციის ამოღებაში.

გაუმჯობესებული მომხმარებლის გამოცდილება: ნებისმიერი მეწარმის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია მომხმარებელთა შესანიშნავი სერვისის უზრუნველყოფა.

რუტინული ამოცანების ავტომატიზაცია: სოლო მეწარმეები ხშირად ასრულებენ რამდენიმე დავალებას ერთდროულად, რაც შეიძლება საკმაოდ შრომატევადი იყოს.

ხარჯების და დროის ეფექტურობა: AI-ზე მომუშავე ინსტრუმენტები შეიძლება დაეხმაროს მეწარმეებს დაზოგონ ფული და დრო მათი ბიზნეს პროცესების გამარტივებით.

გაუმჯობესებული მარკეტინგული სტრატეგიები: AI-ს შეუძლია დიდი რაოდენობით მონაცემების დამუშავება, რათა დაეხმაროს მეწარმეებს სამომხმარებლო ქცევის ტენდენციებისა და შაბლონების იდენტიფიცირებაში” (s. mostafa, 2023).

„ხელოვნური ინტელექტის გავლენა მეწარმეობის კრეატიულობაზე:

⁴ AI - ხელოვნური ინტელექტი

მუქარა თუ ჩახშობა? ერთი შეშფოთება არის ის, რომ ხელოვნური ინტელექტის უნარმა ავტომატიზირება მოახდინოს სხვადასხვა ამოცანების ავტომატიზირებაზე, შესაძლოა ზედმეტი გახადოს ადამიანის გამოგონება და კრეატიულობა.

პროდუქტებისა და სერვისების ჰომოგენიზაცია: კიდევ ერთი შეშფოთება არის პროდუქტებისა და სერვისების პოტენციური ჰომოგენიზაცია ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებისა და მონაცემების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო“ (mostafa, 2023).

9. მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები

მეწარმეობა ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან იქნა რეალიზებული. ვებერი და შუმპეტერი შეიძლება ჩაითვალოს პირველ მეცნიერებად, რომლებმაც სისტემურად განმარტეს მეწარმეობის როლი პროდუქტიულ საწარმოებში.

ბოლო პერიოდებში მეწარმეობა გადის მრავალსაფეხურიან ეტაპს, რომელიც კონცეფციის სახით ყალიბდება, მისი თანამედროვე მიდგომების დასადგენად და შემდეგ დასანერგად. ვფიქრობ, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შესწავლილი სხვადასხვა მეცნიერების და მკვლევარების მოსაზრებები, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე და ტექნოლოგიური რევოლუციის ზღვარზე შევაჯამოთ და გავაკეთოთ სინთეზური ანალიზი. ვიმედოვნებ აღნიშნული მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელიც იქნება შემოთავაზებული შეასრულებს ჯაჭვურ კავშირს მეწარმეებს, სხვადასხვა სახის გაერთიანებებს, ბიზნეს ასოციაციებს, მხარდამჭერ პროგრამებსა და მთავრობას შორის, რომელიც წვლილს შეიტანს მეწარმეობის დარგის განვითარებაში.

9.1. მეწარმეობის განვითარების თანამედროვე პერსპექტიული გამოწვევები:

1. **ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა** - ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა არის გამოწვევა, რომელსაც ხშირად აწყდებიან მეწარმეები, განსაკუთრებით მათი ბიზნესის ადრეულ ეტაპებზე (სტარტაპი). ბევრი მეწარმე ცდილობს უზრუნველყოს სესხები ან სარისკო კაპიტალის ინვესტიციები, რომლებიც საჭიროა მათი ბიზნესის განვითარებისთვის.
2. **დროის მენეჯმენტი** - დროის მენეჯმენტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა თანამედროვე მეწარმეებისთვის. დავალებების დიდი რაოდენობის გამო, რომლებსაც ყოველდღიურად სჭირდებათ ზრუნვა, მეწარმეები ამ პროცესებით არიან

გადაღლილები. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მეწარმეებმა შეასრულონ თავიანთი ამოცანები, დაადგინონ რეალისტური ვადები და ისარგებლონ ამოცანების მართვის ინსტრუმენტებით, გააკონტროლონ თავიანთი ბიზნეს გეგმის დროულად შესრულება.

3. **ქსელური კავშირი** - პოტენციურ მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, ინვესტორებთან და სხვა პროფესიონალებთან კავშირების დამყარება შეიძლება იყოს ფასდაუდებელი აქტივი, როდესაც საქმე ეხება ბიზნესის განვითარებას.
4. **ბაზრის კვლევა** - წარმატებული პროდუქტის ან სერვისის შესაქმნელად, აუცილებელია, რომ მეწარმეებმა ჩაატარონ ბაზრის კვლევა მათი სამიზნე აუდიტორიის შესახებ, რათა უკეთ გაიგონ თავიანთი მომხმარებლების საჭიროებები და ინტერესები.
5. **ფინანსური მენეჯმენტი** - წარმატებისთვის აუცილებელია ხარჯების თვალყურის დევნება, ბიუჯეტირება, ფულადი სახსრების მართვა (cash flow). მეწარმეებმა უნდა შექმნან თვიური, კვარტლური, და წლიური ბიუჯეტი, რომელიც გამოყოფს რესურსებს მათი ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთვის დასახული მიზნების მიღწევაში. მკაფიო სურათი იმის შესახებ, თუ რამდენი ფული შემოდის და გადის, შეიძლება მეწარმეებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმაროს.
6. **ახალ ბაზარზე შესვლა** - მას შემდეგ, რაც პირველადი პროდუქტი ან სერვისი ჩამოყალიბდება, ჯერ კიდევ სამუშაოა გასაკეთებელი, როდესაც საქმე ეხება ბიზნესის ზრდას და განვითარებას. ეს მოიცავს ახალი მომხმარებლების მოძიებას, ახალ ბაზრებზე გასვლას, პარტნიორობისა და ალიანსების შექმნას, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებას და შემოსავლების დივერსიფიკაციას.
7. **ფონდების და პარტნიორების მოზიდვა** - დაფინანსების მოზიდვა კვლავ რჩება ერთ-ერთ დიდ გამოწვევად ბიზნესის უმეტესობისთვის. თქვენ გაქვთ შესანიშნავი იდეა და საკმაოდ ნერვიულობთ ამის შესახებ. ასე რომ, თქვენ ეძებთ ყველა სხვა ინვესტორს, რომელსაც შეიძლება სურდეს მასში ინვესტიციის ჩადება.
8. **მარკეტინგი და გაყიდვები** - თქვენ კარგად გააკეთეთ თქვენი ბიზნესი ინვესტიციის უზრუნველსაყოფად, მაგრამ შემდეგი ნაბიჯი არის მარკეტინგი, რომელიც ყიდის შენს პროდუქტს ან მომსახურებას. გაყიდვები დამოკიდებულია სწორად მართულ მარკეტინგის კამპანიაზე, რომელმაც უნდა დააინტერესოს მომხმარებელი შენი იდენტობით და ღირებულებებით.
9. **კვალიფიციური სამუშაო ძალა** - კვალიფიციური და ერთგული ადამიანების

ნაკლებობა, რომლებმაც უნდა შეასხან ფრთები შენს იდეას, შესაბამისად, ეს ადამიანები უნდა იყვნენ განსხვავებულები, კრეატიულები, ენთუზიაზმით სავსე, რომლებიც დაგვეხმარებიან დასახული ამოცანების შესრულებაში.

10. **ლოიალური მომხმარებლები** - დღევანდელ რეალობაში მომხმარებლებს ვერ გაუგიათ რა სურთ ან ვის უნდა ენდონ, დღევანდელი მოცემულობა მოდიფიცირებულ ალგორითმს მიყვება, რაც ნეგატივს ქმნის. , ვადიაროთ, რომ თუ თქვენი მომხმარებელი არ არის კმაყოფილი, თქვენ გაქვთ პრობლემები თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით და უმჯობესია იმოქმედოთ და სწრაფად გამოასწოროთ თქვენი შეცდომები.

11. **ცვლილებებისადმი ადაპტაცია** - ბიზნესის მფლობელის ზრდის გამოწვევების ნაწილია თქვენი ინდუსტრიის ან დარგის ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი. ეს ცვლილებები შეიძლება მოხდეს ბაზრის პირობების, ტექნოლოგიური წინსვლისა და მომხმარებლის საჭიროებების ცვლილების სახით.

უახლესი ბიზნეს სიახლეებისა და ტენდენციების გაცნობა ასევე შეიძლება იყოს ეფექტური მიდგომა მეწარმეობის მიმართ. ეს გულისხმობს ინფორმირებულობის შენარჩუნებას ინდუსტრიის უახლესი მოვლენების შესახებ და სწრაფად ადაპტირებას ბაზრის ცვლილებებთან. წარმატებული მეწარმეები ამ მიდგომით ხშირად არიან მოქნილები და ადაპტირებულები, შეუძლიათ თავიანთი სტრატეგიების ცვლა, როცა საჭიროა კონკურენციის შესანარჩუნებლად და მოწინავე პოზიციების დასაკავებლად.

9.2. მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები და რეკომენდაციები:

1. **ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა** - სახელმწიფო პოლიტიკის ლოიალურობა და შესაძლებლობა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება, გრანტები ან დაბალ პროცენტის სესხი.
2. **საცალო ვაჭრობა ელექტრონული კომერციით** - დღევანდელ კონკურენტულ ბიზნეს ლანდშაფტში, მეწარმეობის აპლიკაციებმა გზა გაუხსნა ტრადიციული საცალო ვაჭრობის ტრანსფორმაციას ელექტრონული კომერციის გამოყენებით.
3. **ციფრული ტრანსფორმაცია** - მეწარმეობის განვითარებისა და ინოვაციების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა სხვადასხვა ინდუსტრიისა და სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია. ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას ორგანიზაციებში, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას, მომხმარებელთა ქცევას და კონკურენტული უპირატესობების გაუმჯობესებას. მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ ციფრული ტრანსფორმაცია,

რათა შექმნან ახალი ბიზნეს მოდელები, პროდუქტები, სერვისები და გადაწყვეტილებები, რომლებიც აკმაყოფილებს ბაზრის საჭიროებებსა და მოლოდინებს. ციფრული ტრანსფორმაციის მაგალითებია ელექტრონული კომერცია, ღრუბლოვანი გამოთვლები, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი და ნივთების ინტერნეტი.

4. **დიფერენცირებული პროდუქტი** - მეწარმეობის ეს მიდგომა მიზნად ისახავს ახალი პროდუქტის შექმნას ან არსებულის გაუმჯობესებას. კომპანიისთვის დღეს რეალური გამოწვევა არ არის ახალი პროდუქტის ან სერვისის გამოგონება, არამედ დარწმუნდეს, რომ ის სთავაზობს რაღაცას, რაც განსხვავდება კონკურენტებისგან.
5. **საზოგადოების ინფორმირება** - საზოგადოება უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ აუდიტორია - ისინი უნდა იყონ დაინტერესებული მხარეები ბიზნესში. მათ უნდა მიიღონ მუდმივი განახლებები თქვენი ბიზნესის შესახებ, გაგიზიარონ თავიანთი გამოხმაურება და უზრუნველყონ სოციალური მტკიცებულება იმისა, რასაც აკეთებთ.
6. **ეკოსისტემის განვითარება** - ეს სტრატეგია ეხმარება მეწარმეებს თავიანთი ბიზნესის უკეთესად გააზრებაში და უადვილებს მათ კლიენტებისთვის ერთჯერადი გადაწყვეტილებების მიწოდებას.
7. **გლობალურ ბაზრებზე წვდომა** - თანამედროვე მეწარმეობა შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ გლობალურ მომხმარებელთა ბაზას, რადგან ის იყენებს ინტერნეტს და ციფრულ პლატფორმებს უფრო დიდ ბაზარზე გასასვლელად.
8. **სწრაფად ცვალებადი ინდუსტრიები** - თანამედროვე მეწარმეობა შეიძლება უკეთესად შეეფერება იმ ინდუსტრიებს, რომლებიც განიცდიან სწრაფ ცვლილებას, რადგან ის პრიორიტეტს ანიჭებს ინოვაციებს და უფრო მოქნილად რეაგირებს ახალ მოვლენებზე.
9. **ინკლუზიური განვითარება** - ინკლუზიური მეწარმეობა მიზნად ისახავს სოციალური ინკლუზიის, ეკონომიკური გაძლიერებისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობას სამეწარმეო ლანდშაფტში. მეწარმეებს შეუძლიათ ისარგებლონ ინკლუზიური მეწარმეობით გამოუყენებელ ბაზრებზე ნიჭსა და შესაძლებლობებზე წვდომით.
10. **დაბალი, საშუალო და მაღალი განათლების მეწარმეობის სკოლების შექმნა** - გულისხმობს საშუალო და მაღალი განათლების საფეხურზე შესაბამისი მეწარმეების განათლების საბაზისო სისტემის შექმნას და შესაბამისი სპეციალისტების ცოდნით

აღჭურვას, რომელიც შემდეგ გაუზიარებენ ცოდნას სტუდენტებს. ეს შექმნის მეწარმეობის ახალ კულტურას, რომელიც დაინერგება განათლების სისტემაში, არ იქნება როგორც დღეს არის ძალიან ცოტა სასწავლებელი მეწარმეობის დარგში.

11. **ვაჭრობა სახლიდან** - ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ გახვიდეთ ბაზარზე და მოახდინოთ თქვენი პროდუქტის თუ მომსახურების რეალიზაცია კომრეციული ხარჯების კარეშე, რაც უფრო ეფექტური და სწრაფია შემოსავლების მისაღებად.

მეწარმეობა არის იდეის განხორციელება თავისი ჩანაფიქრიდანვე, რომელმაც ფოკუსირება უნდა მოახდინოს თანმიმდევრულად ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს მიდგომა გულისხმობს შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდა და განვითარება რეგიონში ან ინდუსტრიაში. წარმატებული მეწარმეები ამ მიდგომით ხშირად თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან ზრდისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

10. დასკვნა

მეწარმეობის განვითარება და მასზე მოთხოვნა სულ უფრო პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნეს სამყაროში, თანამედროვე მიდგომებით პრაქტიკული აპლიკაციებით, დაწყებული სტარტაპებიდან, მცირე, საშუალო და მსხვილ კორპორაციებამდე. ეს სტატია იკვლევს სხვადასხვა გზებს, მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მიდგომებს და პერსპექტიულ გამოწვევებს, რომელიც უპასუხებს მეწარმეობის დარგის ინკლუზიურ განვითარებას. მეწარმეობა ასოცირდება ინოვაციასთან, ნოუ-ჰაუსთან, ახალ შესაძლებლობებთან და თანმდევ რისკებთან. იგი ხაზს უსვამს მეწარმეობის შესაძლებლობების იდენტიფიცირების, კრეატიული გადაწყვეტილებების შემუშავების და რესურსების ეფექტურად, ეკონომიურად და პროდუქტიულად მართვის აუცილებლობას.

სტატია ასევე ხაზს უსვამს ორგანიზაციებში სამეწარმეო აზროვნების ხელშეწყობის მნიშვნელობას, რათა ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას და გლობალურ ლანდშაფტში სწრაფ ადაპტაციას. მეწარმეობის განვითარება არის სამეწარმეო ცოდნისა და უნარების გაღრმავების პროცესი, რომელიც ხდება სასწავლო პროგრამების და შესაბამისი აქტივობების მეშვეობით. სასწავლო პროგრამები მნიშვნელოვანია სამეწარმეო მენეჯმენტის უნარების გასაძლიერებლად. მეწარმეობის განვითარების დონეზე, პროგრამის მთავარი როლი არის ინსტრუმენტებისა და პროგრამების შემუშავება, რომლებიც ეხება სამეწარმეო კულტურის გრძელვადიან განვითარებას.

მეწარმეობის განვითარებას თანამედროვე მიდგომებით ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, ვხედავთ, რომ მეწარმეობა მიუხედავად თავისი ინტროვერტობის, ცვალებადი ტენდენციისა და იმ ნეგატიური ფაქტორებისა, რომლებიც გარკვეულწილად აფერხებენ მის განვითარებას, ნელ-ნელა მაინც წინ მიიწევს. მეწარმეობის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია მთავრობისთვის. შესაბამისად სახელმწიფოს, დონორ ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის განსაკუთრებული მხარდაჭერა ზრდის მეწარმეობის პოტენციალს, აღძრავს ახალგაზრდა თაობაში ინტერესს, რაც დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი და ბერკეტი სამეწარმეო განათლებაა. საქართველო მეწარმეობის განვითარების გარდამავალ ეტაპზეა და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. დღეს არსებული უნივერსიტეტები ეყრდნობიან ტრადიციულ მეთოდებს, რასაც პროგრესული ბიზნეს სკოლები გვთავაზობენ, ხოლო ეს მიდგომები დარჩენილი ძველი მეთოდებით ხორციელდება და ეს შეიძლება იყოს რუსული მეწარმეობის და სამეწარმეო განათლების გადმონაშთიდან. შესაბამისად სამეწარმეო განათლების ეროვნული სისტემა გადახედვას და რეფორმებს საჭიროებს. თუმცა, ცვლილებები არ უნდა იყოს დაკოპირებული რომელიმე აწ უკვე განვითარებული ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნიებიდან, ასევე არ უნდა იყოს დასავლური ბიზნეს სკოლების ასლი. ნებისმიერი წარმატებული პრაქტიკის მიმბაძველობითი ან კოპირებული ბიზნეს მოდელირება არ არის გარანტია წარმატების, რადგან ყველა დარგი საჭიროებს სწორად იქნეს შერჩეული ცვალებადი ლანდშაფტი, რომელიც სპეციფიურია თავისი შინაარსით, ბუნებით, ბიზნეს გარემოთი, კულტურით და სხვა კომპონენტებით. მსგავსმა კოპირებულმა მოდელმა შეიძლება ეფექტი მოახდინოს მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან განვითარების გზაზე განიცადოს სრული კრახი. გამოსავალი არის შემდეგში, მოხდეს მეწარმეობის დარგის სრული იდენტიფიცირება თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, ასევე მოხდეს შესაბამისი კვლევების ჩატარება და შემდეგ დაიგეგმოს შემდეგი ღონისძიებები. მაშინ შეიძლება მოდიფიცირებული საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება და დანერგვა რეალურ სივრცეში, რომელიც იქნება ადაპტირებული და შედეგზე ორიენტირებული. მეწარმეობის განვითარების საუკეთესო საშუალებაა დაბალი, საშუალო და მაღალი განათლების სისტემაში დაინერგოს მეწარმეობის საგანმანათლებლო პროგრამები მასტერკლასები, ვორკშოფები, ტრენინგები, სასერტიფიკაციო პროგრამები, გადამზადების პროგრამები, სპეციალიზირებული სკოლები და ა. შ. ეს პროგრამები არ უნდა იყოს მოკლევადიანი, და ის უნდა იყოს გრძელვადიანი და ასახავდეს პერსპექტივაში განსახორციელებელ პროექტებს. დანერგილი პროექტები უფრო ეფექტურია ასთვისებლად, რადგან ტექნიკა შექმნილია სამყაროს უკეთ შესაგნობად, შემოქმედებითი უნარების გასაუმჯობესებლად, გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის და შემდეგ მისი გადაჭრის

გზების საძიებლად. შესაბამისად, მეწარმეობის განვითარება ინოვაციებშია, ხოლო მისი აუცილებელი წყარო განათლება და საჭირო რესურსებია.

ბიბლიოგრაფია

1. მაღლაკელიძე, ა. 2022 წ. - მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში - გვ 12, 22;
2. მაღლაკელიძე, ა. 2022 წ. - მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში - 22 გვ.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის
5. Eurostat statistics Explained, 2019, - Statistics on small and medium-sized enterprises
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2020 წ. - ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის კვლევაში შეფასებულია პანდემიის გავლენა საქართველოს შესაფუთი მასალების მიწოდების ჯაჭვის კომპანიებზე - კვლევა (UNDP)
7. European Union, Development of entrepreneurship competence, 2023. - <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/estonia/38-development-of-entrepreneurship-competence>
8. S. Mostafa - The Impact of Artificial Intelligence on Solo Entrepreneurs and Entrepreneurship: Boosting Personal Productivity - <https://www.linkedin.com/pulse/impact-artificial-intelligence-solo-entrepreneurs-boosting-shahat>
9. S. Mostafa - The impact of Artificial Intelligence (AI) on Entrepreneurship Creativity - <https://www.linkedin.com/pulse/impact-artificial-intelligence-ai-entrepreneurship-mostafa-shahat>